პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 ივნისი, ხუთშაბათი, 1986 წელი
№ 109 (9200) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 ივნისს დაიწყება და 14 ივნისს დამთავრდება ველოსპორტის კვირეული



## როგორ ვემზადებით ამ მასობრივი ღონისძიების ჩასატარებლად?

# სპორტისა და სილამაზის ზეიმი

**მოსკოვში**, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, რიგაში, ვოლგოგრადსა და კაუნასში დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა ტურნირი. გადამწყვეტ მატჩებში, რომელთა ჩატარება 8-14 ივნისს კიევშია დაგეგმილი, იასპარეზებენ ჯგუფურ ტურნირებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული ქალთა და ვაჟთა კოლექტივები.

ფინალური შეჯიბრებების დაწყებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი კოლესოვმა.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ სპარტაკიადის დასკვნით ტურნირებს ჩვენი ქვეყნის 23 სხვადასხვა ქალაქი უმასპინძლებს. 9 შეჯიბრება უკრაინის სპორტულ ბაზებზე ჩატარდება, კერძოდ, ასპარეზობები ქალთა და ვაჟთა კალათბურთში, საგზატკეცილო ველოსპორტში, წყალსათხილამურო სპორტში, ხელბურთში, ძიუდოში, ფეხბურთსა და ქალთა ბალახის ჰოკეიში. საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა ფინიშის ხაზს 30 სექტემბერს ტალინში გადაკვეთავს. ამ დღეს თანამედროვე ხუთჭიდში გამარჯვებულები გამოვლინდებიან.

სპარტაკიადის წლევანდელ სისტემაში რამდენიმე სიახლეა შეტანილი. პირველი და უმთავრესი მათ შორის ის გახლავთ, რომ კომპლექსური საერთო-გუნდური ჩათვლა არ იწარმოებს. აქცენტი მთლიანად ცალკეული სახეობების შედეგებზე გადავა. ამის გამო მომთხოვნელობა სპორტსმენთა მიმართ თავისთავად გაიზრდება. მაგალითად აკრობატთა, ველოსიპედისტთა, ტანმოვარჯიშეთა, ძიუდოისტთა, ცხენოსანთა, მოცურავეთა, წყალში და ბატუტზე მხტომელთა, მსროლელთა, მოფარიკავეთა და ძალოსანთა მომზადების დონე სპორტის ოსტატის ნორმატივს უნდა შეესატყვისებოდეს, ხოლო ბადმინტონისტთა, მოკრივეთა, მოჭიდავეთა, მძლეოსანთა, ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა დონე — ოსტატობის კანდიდატთა ნორმატივს.

წინათ საერთო-გუნდურ ჩათვლაში წარმატების მოპოვება ცალკეულ სახეობებში საშუალო შედეგების ჩვენებითაც შეიძლებოდა. წლეულს ეს არ მოხდება, ვინაიდან რესპუბლიკების წინაშე ერთი და კონკრეტული ამოცანაა დასმული: პირველ ყოვლისა ის სახეობები განავითარონ, რაშიც აქვთ ტრადიციები, შესაბამისი სპორტული ბაზები და სხვა პირობები.

წლევანდელი სპარტაკიადის სტრუქტურაში კიდევ ერთი არსებითი სიახლეა შეტანილი. მხედველობაში გვაქვს ასაკობრივი ცენზი. მაღალი ასაკობრივი ცენზია (25 წელი და ქვემოთ) დაშვებული ცხენოსნობაში, ტყვიისა და ხასტენდო სროლაში, ჭადრაკში, ყველაზე დაბალი (20 წელი და ქვემოთ) კი კალათბურთში, წყალბურთში, ხელბურთში, ტანვარჯიშში.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სპორტსმენმა თავი უმთავრესად 22-23 წლის ასაკში უნდა გამოიჩინოს. მერე წარმატების მიღწევა დიდ სპორტში შეუძლებელია, ეს, პირველ რიგში, ზაფხულის სპორტის სახეობებს ეხება. სწორედ ამიტომ სპარტაკიადებში ამიერიდან ველარ ვნახავთ ე. წ. „ჩამთვლელ სპორტსმენებს“, რომელთა ოსტატობის ზრდა დიდი ხანია შეწყდა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა ოლიმპიურ თამაშებამდე ორი წლით ადრე ტარდება. სწორედ ამიტომ სპარტაკიადამ ჩვენი გუნდების რეზერვები, მათი მზადყოფნა უნდა შეამოწმოს. სპარტაკიადა ახალგაზრდობის, მეგობრობისა და სილამაზის ზეიმია — იგი ახალ იმპულსს მისცემს ჩვენს სპორტს, სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე ახალ თაობას მიიზიდავს.

## კალათბურთელთა ტურნირის პირველი სიურპრიზები

**დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ტურნირი. ვიდრე პირველი დღის შედეგებს გაგაცნობდეთ შეგახსენებთ დებულების ძირითად მოთხოვნას:**

ჯგუფური ტურნირების მატჩები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ტარდება. პირველ-მეორე ადგილზე გასული კოლექტივები კიევში IX სპარტაკიადის მედლებს გაითამაშებენ. ახლა გაგაცნობთ იმ ქვეჯგუფებში გამართული შეხვედრების შედეგებს, სადაც საქართველოს წარმომადგენლები გამოდიან.

**ქალები. მინსკი.** ორი შეხვედრა გაიმართა მეოთხე ჯგუფში. ლიტვამ მძაფრი ბრძოლის შემდეგ აჯობა ყირგიზეთს — 87:82. ბელორუსიისა და საქართველოს კალათბურთელთა შეხვედრაში ჩვენი მეტოქეების უპირატესობა აშკარა იყო — 97:47.

გუშინ საქართველოს კალათბურთელები ლიტველებთან თამაშობდნენ, ბელორუსიის გუნდი კი ყირგიზეთთან. დღეს ქვეჯგუფში თამაშები დამთავრდება, საქართველოს წარმომადგენლები ყირგიზეთის კოლექტივს შეხვდებიან, ბელორუსია — ლიტვას.

**ვაჟები. კაუნასი.** ვინაიდან ამ ჯგუფში მხოლოდ სამი გუნდი თამაშობს, პირველ დღეს ერთი შეხვედრა გაიმართა. ყაზახეთის კალათბურთელებმა საქართველოს გუნდს 22 ქულით (79:57) აჯობეს.

გუშინ ჩვენი სპორტსმენები ლიტველებს შეხვდნენ, დღეს კი ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი გაიმართება ყაზახეთსა და ლიტვას შორის.

## ელვა-ინფორმაცია

### „ჭადრაკის ოსკარი“ — გადაეცათ

**გუშინ ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, აიპე-ს (საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია) შტაბ-ბინაში „ჭადრაკის ოსკარი“ გადაეცათ მსოფლიო ჩემპიონებს მაია ჩიბურდანიძესა და გარი კასპაროვს.**

**ეს საპატიო ჯილდო მსოფლიო ჩემპიონებმა 1985 წელს მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისთვის მიიღეს. „ჭადრაკის ოსკარი“ მაია ჩიბურდანიძეს მეორედ (პირველად, 1984 წელს) გადაეცა, გარი კასპაროვმა კი იგი მესამედ (მანამდე 1982, 1983 წლებში) მიიღო.**

• • •

**ერევანში** დამთავრდა გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკის ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო ტურნირი.

შეჯიბრებაში 15 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

9,5-9,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ლევ ფსახისმა (კრასნოიარსკი) და ოლეგ რომანიშინმა (ლვოვი). გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი (რიგა).

**ბუგოინოში** (იუგოსლავია) გრძელდება დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი.

VII ტურში იუსუპოვი დაუზავდა ლიუბოევიჩს, სოკოლოვი — პორტიშს. სპასკიმ მოუგო ტიმანს. კარპოვ — მაილსის პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კარპოვმა მოუგო ლიუბოევიჩს, იუსუპოვმა — პორტიშს, ხოლო სოკოლოვი და ტიმანი დაზავდნენ.

ამრიგად, 7 ტურის, ესე იგი I წრის შემდეგ სპასკის 4 ქულა აქვს, კარპოვს, სოკოლოვსა და მაილსს — 3,5-3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, იუსუპოვს —3,5, ლიუბოევიჩს — 3 (1), პორტიშს— 3, ტიმანს — 2.

### შაში

**მოშაშეთა პირველი ოლიმპიადის ფინიში ისე აეწყო, რომ დასკვნით ტურში ერთმანეთს ჩემპიონის ოქროს მედლების მთავარი კანდიდატები — საბჭოთა კავშირისა და ჰოლანდიის გუნდები შეხვდნენ.**

დაძაბული მატჩი ყაიმით (1,5:1,5) დამთავრდა და საბჭოთა დიდოსტატებმა 22-დან 21 ქულით გაიმარჯვეს. მათ 10 შეხვედრა მოიგეს და ერთი ყაიმით დაასრულეს.

### კრივი

**ხუთი** მედალი და ორი პრიზი დაიმსახურეს საქართველოს „ბურევესტნიკის“ კრივის სპორტსკოლის (დირექტორი დავით ქავთარაძე) აღსაზრდელებმა, რომლებმაც ტაგანროგში 1972-1973 წლებში დაბადებულ მოკრივეთა საკავშირო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. ჩვენი ხუთი სპორტსმენის გარდა შეჯიბრებაში იასპარეზა ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციის, სომხეთისა და უკრაინის 150-მა მოზარდმა. თავიანთ წონით კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს არამ ამოევმა (30 კგ), გოგიტა კალატოზმა (46 კგ), ჯანგირ ამოევმა (50 კგ) და მამუკა წიკლაურმა (54 კგ). მეორე ადგილი ხვდა წილად ალეკო მღებრიშვილს (60 კგ).

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის მწვრთნელს სპორტის ოსტატ სოსო წინამძღვრიშვილს.

„ლელოს“ კორ.







**თბილისის** პირველი მაისის რაიონის სპორტსკოლის თაოსნობით ამ დღეებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის წინ მოეწყო ნორჩების მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. ეს ღონისძიება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ყვავილების დღესასწაულს მიეძღვნა.

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

MEXICO86

**3.VI. მეხიკო. ბელგია-მექსიკა 1:2**
**3.VI. გვადალახარა. ალჟირი-ჩრდ. ირლანდია 1:1**
**3.VI. მონტერეი. პორტუგალია-ინგლისი 1:0**



დღეს თამაშობენ:

**საფრანგეთი-სსრ კავშირი ⚽ იტალია-არგენტინა ⚽ ს.კორეა-ბულგარეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი ფარიკაობაში

# ჩემპიონატი ჩემპიონატის წინ

**ქუთაისში** ზედიზედ გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის მუშკეტერთა ორი ასპარეზობა — საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება და რესპუბლიკის ჩემპიონატი. პირველი შეჯიბრებისგან რესპუბლიკური ჩემპიონატი მონაწილეთა შემადგენლობით ბევრად არ განსხვავდებოდა, მაგრამ ფარიკაობის ოთხივე სახეობაში გამარჯვებულთა შორის აქ სულ სხვა სპორტსმენები ვიხილეთ. ალბათ ასეც იყო მოსალოდნელი. მოგეხსენებათ, ახლა ფარიკაობაში მომეცადინე უფროსი ასაკის სპორტსმენთათვის მკაცრი რეგლამენტია დაწესებული: 25 წელზე უფროსი ასაკის მუშკეტერები საკავშირო შეჯიბრებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებიან, თუ მათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი აქვთ შესრულებული. ასე რომ, ე. წ. „არასასპარტაკიადო ასაკში“ (24-26 წლის) სულ რამდენიმე სპორტსმენი შემოგვრჩა, თუმცა ვინც არის, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ამაში გვარწმუნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქუთაისში არც ერთი მათგანი საპრიზო ადგილების მიღმა არ დარჩენილა. საქართველოს ჩემპიონატზე „სასპარტაკიადო სცენარით“ მხოლოდ ერთი შეჯიბრება — ხმლით მოფარიკავეთა ტურნირი წარიმართა. ფინალი კი სხვაგვარი აღმოჩნდა. მერაბ ბაზაძემ დავით თურქია სწორედ იმ ანგარიშით (11:9) დაამარცხა, რა ანგარიშითაც მან საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გამართული ასპარეზობის გადამწყვეტი შეხვედრა წააგო. მესამე ადგილზე ზაზა მჭედლიძე (სამივე — თბილისი) გავიდა. ამ დისციპლინაში მონაწილეთა ასეთი სტაბილური გამოსვლა იმან განაპირობა, რომ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, რესპუბლიკის ყველა უძლიერესი ხმლით მოფარიკავე სასპარტაკიადო ასაკისაა.

გოგონათა შორის ჩემპიონის



ტიტული თამარ დარასელიას შეგირდმა ხათუნა მამუკაშვილმა მოიპოვა. პრიზიორთა სამეულში ამ ღვაწლმოსილი მწვრთნელის კიდევ ერთი მოწაფე, ქეთევან გაჩეჩილაძე (III ადგილი) მოხვდა. მეორე ადგილი კი დაიკავა ქეთევან ერემეიშვილმა, რომელიც კარგა ხანია საფარიკაო ბილიკზე არ გვინახავს.

რაპირისტ ვაჟთა შორის კვლავ წარმატებით იასპარეზა თბილისელმა მეათეკლასელმა ოლეგ ჩერნიშოვმა, თუმცა გადამწყვეტ შეხვედრაში მან ვერაფერი გააწყო უფროს და გამოცდილ თანაგუნდელთან ზურაბ აფციაურთან — 4:10. მესამე ადგილი დაიკავა გიორგი გელაშვილმა. დაშნით მოფარიკავეთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჯემალ გამიაშვილი; 2. ზურაბ ჩქარეული (ორივე — თბილისი); 3. მალხაზ ძნელაძე (ქუთაისი). გუნდურ შეჯიბრებაშიც თბილისელმა სპორტსმენებმა იმარჯვეს.

17-24 ივნისს ლენინგრადში ქვეყნის ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრებს ორი ამოცანა ექნება გადასაწყვეტი: კიდევ ერთხელ შეამოწმოს რესპუბლიკის სასპარტაკიადო ნაკრების კანდიდატები და, წარმატებას მიაღწიოს ქვეყნის უძლიერეს მუშკეტერებთან ბრძოლაში. სპეციალისტებს ყველაზე უფრო ხმლით მოფარიკავეთა და რაპირისტ ვაჟთა გუნდების იმედი აქვთ. ხმალში სტაბილური გუნდი გვყავს, რაპირისტთა ნაკრებს კი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ აფციაური გააძლიერებს. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის წინა ჩემპიონატზე ამ სახეობაში საქართველოს გუნდმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

**მანანა სოსელია.**

---

## საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადა

# კვლავ თბილისელთა უპირატესობით

**საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარდა. შეჯიბრების მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ზურაბ ფოცხვერია შეხვდა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს მარინა ვიშნიაკოვას და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას:**



**⊙ თუ შეიძლება პირველ რიგში გაგვიზიარეთ ამ შეჯიბრებით გამოწვეული თქვენი საერთო შთაბეჭდილებები.**

— ჩემის აზრით, რესპუბლიკის სპარტაკიადაზე გამოსულმა სპორტსმენებმა მომზადების კარგი დონე გამოავლინეს, პირადად მე მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი გოგონების გამოსვლით. ეს განსაკუთრებით წამყვან ტანმოვარჯიშეებს ეხებათ. გარდა ამისა, გამოჩნდა რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა.

**⊙ თუ შეიძლება განმარტეთ რას წარმოადგენდა ეს პირადი შეჯიბრება?**

— ეს იყო ტანმოვარჯიშეთა კონკურსგარეშე შეჯიბრება. მოგეხსენებათ, სპარტაკიადაზე ყოველ გუნდს ექვსი სპორტსმენის გამოყვანა შეეძლო, ასე რომ, ზოგიერთი ახალგაზრდა სპორტსმენი შეიძლებოდა ტურნირის მონაწილეთა შორის ვერ მოხვედრილიყო. ჩვენ გადავწყვიტეთ პირად შეჯიბრებაზე დაგვეშვა ის გოგონები, რომლებსაც ჩვენი აზრით მომავალში შეუძლიათ კარგი შედეგი აჩვენონ.

**⊙ ვერაფრით ვერ მივაღწიეთ ჩვენში მხატვრული ტანვარჯიშის გეოგრაფიის გაფართოებას...**

— სამწუხაროდ, რაიონებში სპორტის ეს მშვენიერი სახეობა არ არის სათანადოდ კულტივირებული. თბილისის გარდა, შედარებით უკეთესი პირობებია ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, რუსთავში.

**⊙ შეჯიბრებაში კონკურს გარეშე მონაწილეობდა მოსკოვის ნაკრები. ადრე თუ გამოსულან საქართველოს სპარტაკიადაზე სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები?**

— თუ არ ვცდები, ეს იყო პირველი შემთხვევა.

**⊙ რამ განაპირობა მოსკოველთა მოწვევა?**

—მოსკოვის გუნდი ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიული ტანმოვარჯიშეებით იყო დაკომპლექტებული და ჩვენ იმედი გვქონდა მათი გამოსვლა ტურნირს ინტერესს შემატებდა, ხოლო ჩვენს სპორტსმენებს გარკვეულ სარგებლობას მოუტანდა.

**⊙ ტურნირის ორგანიზაციაზე რას იტყვით?**

— უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს სპარტაკიადა მხატვრულ ტანვარჯიშში უკეთეს ორგანიზაციას იმსახურებს. ვფიქრობ, ეს შეჯიბრება ლენინის დარბაზში კი არა, სპორტის სასახლეში უნდა გამართულიყო, რადგან ლენინის დარბაზში გოგონებს ვარჯიშის შესასრულებლად შეუფერებელ პირობებში მოუწიათ ასპარეზობა. მათ ხელს უშლიდა კალათბურთის ფარები და აივანი, რომელიც მოედნის გასწვრივ გადის. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს მონაწილეთა ოსტატობის სრულად გამოვლენაზე.

**გაგაცნობთ ტურნირის ტექნიკურ შედეგებს. უფროსი ასაკი. უსაგნოდ.** 1. თ. ნადირაშვილი (თბილისი) 19,3; ე. ბედოშვილი (თბილისი) — 19,1; ნ. ლეშკაშელი (თბილისი) — 18,1. **სახტუნაო.** 1. თ. ნადირაშვილი — 19,2; 2. ე. ბედოშვილი — 18,5; 3. ნ. ლეშკაშელი — 18,75. **რგოლი.** 1. თ. ნადირაშვილი — 19,25; 2. ე. ბედოშვილი — 19,2; 3. ი. ჩხაიძე (თბილისი) — 18,95. **ბურთი.** 1. თ. ნადირაშვილი — 19,45; 2. ე. ბედოშვილი — 19,2; 3. ი. ჩხაიძე —19,0. **გურზები.** 1. ე. ბედოშვლი —19,45; 2. თ. ნადირაშვილი — 19,4; 3. ი. ჩხაიძე — 18,55; **ლენტი.** 1. ე. ბედოშვილი — 19,5, 2. თ. ნადირაშვილი — 19,35; 3. ი. ჩხაიძე — 19,1. **უმცროსი ასაკი. უსაგნოდ.** 1. ვ. ყიფიანი (თბილისი) 18,55; 2. ე. კოზმოვა (რუსთავი) — 18,35; 3. ა. ჩაპლიგინა (თბილისი) —18,3. **სახტუნაო.** 1. ე. კოზმოვა — 18,5; 2. ვ. ყიფიანი — 18,05; 3. ნ. ოსიაშვილი (რუსთავი) — 18,1. **რგოლები.** 1. ვ. ყიფიანი — 18,2; 2. ა. ჩაპლიგინა — 18,25; 3. ე. კოზმოვა — 18,5; **ბურთი.** 1. ვ. ყიფიანი — 18,6; 2. ა. ჩაპლიგინა — 18,5; 3. ე. კოზმოვა — 18,25. **გურზები.** 1. ე. კოზმოვა — 18,55, 2. ვ. ყიფიანი — 18,5, 3. ნ. ჩაპლიგინა — 18,1. **ლენტი.** 1. ვ. ყიფიანი — 18,05; 2. ნ. ოსიაშვილი — 17,9; 3. ა. ჩაპლიგინა — 17,5. **მრავალჭიდი. უფროსი ასაკი.** 1. თ. ნადირაშვილი — 57,95; 2. ე. ბედოშვილი — 57,45; 3. ვ. ყიფიანი — 54,9.

**გუნდური შედეგები.** 1. თბილისი— 282,9; 2. რუსთავი — 260,25; 3. ბათუმი — 252.

---

## [illegible] „საზოგადოებრივ სამსჯავროზე“

**რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები: ფეხბურთის მოყვარულები გვიზიარებენ თავიანთ გულისტკივილს ჩვენს ფეხბურთში არსებული მდგომარეობის გამო და გამოთქვამენ სურვილებს, მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.**

**რა თქმა უნდა, ავტორთა ყველა სურვილის მიღება და მით უმეტეს, განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ რედაქცია განაგრძობს ამ წერილების ბეჭდვას. დღეს გთავაზობთ ახმეტელი ელიზბარ ნადარაშვილის წერილს. ჩვენი აზრით, მასში ბევრი რამ არის საკამათო, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ სწორედ კამათში იბადება...**

# თერთმეტი მოსაზრება

**დიდი** გულისყურით წავიკითხე 27 მაისის „ლელოს“ მოწინავე წერილი „საზოგადოებრიობის სამსჯავროზე“. წერილმა ძალიან გამახარა, რადგან ბოლოს და ბოლოს ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რათა აღორძინდეს ჩვენი ფეხბურთის დიდი ტრადიციები. გთავაზობთ ჩემს მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

1. უპირველეს ყოვლისა საქართველოს ჩემპიონატში უნდა დაწესდეს ასაკობრივი შეზღუდვა. ორი მოთამაშე განუსაზღვრელი ასაკის უნდა იყოს, ორი — თვრამეტ წლამდე, ხოლო დანარჩენი — ოცდაოთხ წლამდე.

**მიზანი:** გუნდში უნდა იყოს ორი ასაკოვანი ფეხბურთელი, რათა ახალგაზრდებმა მათგან ისწავლონ, მწვრთნელსაც დაეხმარონ ვარჯიშის დროს, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტაში. ორ თვრამეტ წლამდე ასაკის ფეხბურთელს აუცილებლად შეარჩევენ რაიონში თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოს პირველობაში დაახლოებით 100 გუნდი მონაწილეობს, ეს იმას ნიშნავს, რომ გვეყოლება 200 პერსპექტიული ფეხბურთელი. თუ მათგან წელიწადში ორი მაინც გაამართლებს იმედს, ეს დიდი ძალა იქნება თბილისის „დინამოსთვის“.

2. თუ გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ მისმა რაიონმა ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მისცა საქართველოს ნაკრებს ნებისმიერ ასაკში, ან მათგან არავინ აიყვანეს უმაღლეს, I და II ლიგის გუნდებში, მას არ უნდა მიეცეს გადასასვლელ მატჩში მონაწილეობის უფლება — როგორც უპერსპექტივოს. გადასასვლელ ტურნირში ამ ჯგუფიდან უნდა დაუშვან კოლექტივი, რომელმაც მეტი ფეხბურთელი მისცა ოსტატთა გუნდებს.

**მიზანი:** რაიონში მეტ ყურადღებას დაუთმობენ ბავშვებთან მუშაობას. მწვრთნელები იგრძნობენ, რომ მათი ამოცანაა მისცენ უმაღლეს, I და II ლიგის გუნდებს ნიჭიერი ფეხბურთელები.

3. აუცილებლად უნდა გაიზარდოს ფეხბურთელის პირად ბარათში ჩაკრული ფოტოსურათის ზომა და ამ ბარათს ხელი მოაწეროს რაიონის რომელიმე პასუხისმგებელმა მუშაკმაც. ეს აუცილებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფეხბურთელი შედარებით დაბალ ასაკობრივ ჯგუფში გამოდის.

**მიზანი:** ამით თავიდან ავიცილებთ გუნდში ასაკგადაცილებულ ფეხბურთელთა შეყვანას.

4. ყოველწლიურად უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას მწვრთნელები, განსაკუთრებით — ბავშვებთან მომუშავენი. უნდა დაიბეჭდოს სპეციალური ლიტერატურა ქართულ ენაზე.

**მიზანი:** ამით თავიდან ავიცილებთ ნიჭიერი ფეხბურთელების დაკარგვას.

5. გამოინახოს რაიონებში სპორტული კლასების შექმნის გზები.

**მიზანი:** სოფლის ბავშვებს მიეცეთ ვარჯიშისა და დაოსტატების საშუალება.

6. დაწესდეს მკაცრი კონტროლი „ტყავის ბურთის პრიზის“ გათამაშებაზე, რათა ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ სპორტსკოლების გუნდები.

**მიზანი:** ამით ჩვენ გამოვავლენთ ბუნებრივი საფეხბურთო ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს.

7. საჭიროდ მიმაჩნია შეიცვალოს დებულებაში არსებული პუნქტი, რომ გატანილი გოლის ან თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს გამო პროტესტი არ მიიღება. როგორც ვიცი, ყოველ მატჩს ესწრება კომისარი და მან უნდა გადაწყვიტოს, რამდენად სამართლიანი იყო მსაჯის აზრი. საჭიროების შემთხვევაში, მსაჯს პასუხიც უნდა ვაგებინოთ.

8. კომისარი აუცილებლად უნდა იყოს ავტორიტეტიანი პიროვნება. უმჯობესია ეს იყოს ყოფილი ფეხბურთელი, რომელსაც გული შესტკივა ქართულ ფეხბურთზე და არა ერთ რომელიმე გუნდზე. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ მსაჯებმა, გუნდებმა ან მასპინძელი რაიონის ხელმძღვანელებმა წინასწარ არ იცოდნენ, ვინ იქნება კომისარი.

9. რომელიმე ტურნირში გამარჯვებულ გუნდზე წერილის მომზადებისას აუცილებელია, რომ გაზეთმა „ლელომ“ ოფიციალურად მოსთხოვოს გუნდების ხელმძღვანელებს ფეხბურთელთა გვარი, სახელი, მამის სახელი და გამოაქვეყნოს ფოტოსურათებთან ერთად. ამით თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ მაქინაციებს.

10. კარგი იქნება, თუ ფეხბურთის ფედერაცია შექმნის კომისიას და წელიწადში ერთ გუნდს მაინც შეამოწმებს უშუალოდ ადგილზე. ეს ეხება განსაკუთრებით იმ გუნდებს, სადაც ასაკი შეზღუდულია.

11. თუ მწვრთნელი უკანონო გზებით ცდილობს გაამარჯვებინოს თავის გუნდს ასაკგადაცილებული ან სხვა კოლექტივების ფეხბურთელთა დახმარებით, მას სამუდამოდ უნდა აეკრძალოს არა მარტო მწვრთნელად, არამედ საერთოდ სპორტში მუშაობა.

ძვირფასო რედაქცია, ყველაფერი ეს დამაწერინა თბილისის „დინამოს“ სიყვარულმა. ვფიქრობ, თუ ასე გაგრძელდა, 5-8 წელიწადში კიშინიოვის „ნისტრუს“ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მე ვხედავ, რომ რეზერვი მართლაც აღარ არის. საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდები კი ქულებს და ადგილებს გადაჰყვნენ.

---

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „გაბურთავებული ლელობურთი“

**„ლელოს“ 11 მაისის ნომერში რუბრიკით „ლახტის წრეში“ დაიბეჭდა წერილი საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით ლელობურთში გამართული ფინალური შეჯიბრების შესახებ. წერილში, რომელსაც „გაბურთავებული ლელობურთი“ ერქვა, საუბარი იყო იმის შესახებ, თუ როგორ უხეიროდ უმასპინძლეს თელავის რაიონში სპორტის ეროვნულ სახეობაში ჩატარებულ შეჯიბრებას. ახლახან ფიზიკური კულტურისა და სპორტის თელავის რაიონული კომიტეტიდან გვაცნობებ: „წერილში მოყვანილი ფაქტები დასტურდება და რაიონის ხელმძღვანელობამ მკაცრადაც იმსჯელა ლელობურთელთა შეჯიბრების მიმართ გამოჩენილ უყურადღებობაზე. წინანდლის სასოფლო საბჭოს და მეურნეობის ხელმძღვანელობას მიეცათ კონკრეტული დავალება ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.**

**ამასთან ერთად, რაისაბჭოს აღმასკომი უახლოეს სხდომაზე განიხილავს რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საერთო მდგომარეობასაც.**

**მომავალში ანალოგიური შემთხვევები აღარ განმეორდება“.**

**შ. მაისურაძე,**
**თელავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# პრესა საბჭოთა ნაკრების შესახებ

**მექსიკის** სტადიონებზე XIII მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები მიმდინარეობს ექვსივე წინასწარ ჯგუფში. უკვე ჩატარდა რამდენიმე ის შეხვედრა, რომლებსაც დიდი ინტერესით მოელოდნენ საერთაშორისო საფეხბურთო წრეები, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამცხრალა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების მატჩის სენსაციური შედეგით გამოწვეული შთაბეჭდილებები. „აბსოლუტურად თანამედროვე ფეხბურთი" — ასე უწოდა საბჭოთა ფეხბურთელთა თამაშს ესპანეთის ტელევიზიის მიმომხილველმა, მან ხაზი გაუსვა საბჭოთა ფეხბურთელთა საუკეთესო ათლეტურ მონაცემებს და ფიზიკურ მომზადებას. ფეთქებად კონტრშეტევებს, მცველთა საიმედო თამაშს. „ასეთ შედეგს არ ელოდა არავინ, გამარჯვებულებს სრული ტერიტორიული, სათამაშო, ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა ჰქონდათ. გასაოცარია, თუ როგორ შეძლო ასეთ მოკლე პერიოდში ვ. ლობანოვსკიმ თავისი გუნდის ბაზაზე ასე ძლიერი, მონოლითური ნაკრები შექმნა". კომენტატორი საგანგებოდ გამოჰყოფს იგორ ბელანოვს, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ავსტრიის სააგენტო **აპა** წერს: „რა თამაში! რა შედეგი!", და შემდეგ უმატებს: „საბჭოთა გუნდის თამაში ამჟამად მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ჭეშმარიტი დღესასწაულია. საბჭოთა ფეხბურთელები 90 წუთის მანძილზე ისეთ მელოდიას უკრავდნენ, რომელმაც არა მარტო უნგრელები განაცვიფრა".

ბრაზილიის ტელეკომპანია „**მანშეტის**" მიმომხილველმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა გაანადგურეს უნგრეთის ნაკრების გარშემო შექმნილი მითი, ეს მითი კი წარმოიშვა უნგრეთის გუნდის ბრაზილიელებთან გამარჯვების შემდეგ.

დასავლეთ გერმანიის სააგენტო **დპა** აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფეხბურთელები თამაშობდნენ ისე, თითქოს მათზე არავითარი გავლენა არ მოეხდინოს მექსიკის სიმაღლეს და სიცხეს. ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა მ. პლატინიმ აღნიშნა, რომ მექსიკის პირობებში ძნელია მაღალ შედეგებზე და დიდ ანგარიშებზე ფიქრი, ეს 6:0 კი სულ სხვა რამეზე მეტყველებს.

**ამასობაში** მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდება. 3 ივნისს გაიმართა II, IV და VI ჯგუფების შეხვედრები. ბევრი სპეციალისტი წარმატებას უქადდა ინგლისის გუნდს, ინგლისელებმა კი პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში მარცხი იწვნიეს — 0:1. დასაწყისში ინგლისელები ბევრს უტევდნენ, რამდენიმე კარგი მომენტიც ვერ გამოიყენეს; შესვენების შემდეგ კი პორტუგალიელმა მანუელმა გოლით დაამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი იერიში, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ფუტრეს ანგარიშის გაზრდის ნაღდი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ინგლისელთა მეკარემ შილტონმა გადაარჩინა კარი.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მექსიკისა და ბელგიის გუნდების შეხვედრა, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მექსიკელებმა. ალჟირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

## მატჩი №15

**დღეს ქ. ლეონის ამავე სახელწოდების სტადიონზე შედგება მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი ეტაპის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. მატჩს, თავისთავად, დიდი მნიშვნელობა აქვს III ჯგუფში ადგილების საბოლოო განაწილებისთვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველი ტურის შემდეგ ამ ჯგუფის ერთსულოვან ფავორიტად სსრ კავშირის ნაკრები იქცა, ფრანგებმა კი ძალზე უფერულად ითამაშეს კანადელებთან. ამდენად, ეს მეტად პრესტიჟული შეხვედრაა ორივე გუნდისთვის.**

**მატჩს მსაჯობს ბრაზილიელი რ. არფი.**

## სსრ კავშირი — საფრანგეთი

**მსოფლიო** ჩემპიონატებს სენსაციები არ აკლია, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელთა წარმატებამ ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც უნგრეთის გუნდია, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა აღარავის ახსოვს, რომ საბჭოთა ფეხბურთელები თავიანთი წინასაჩემპიონატო მაჩვენებლებით ფავორიტთა შორის არ ირიცხებოდნენ და დღევანდელ მატჩში ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს, რომ უნგრელებთან თამაშში არავითარ შემთხვევითობას ადგილი არ ჰქონია.

და, მაინც, ფრანგებთან თამაში გაცილებით მეტ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

პირველ მატჩში საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: დასაევი, ლარიონოვი, კუზნეცოვი, ბესონოვი, დემიანენკო, იარემჩუკი, ალეინიკოვი, იაკოვენკო (ევტუშენკო), ზავაროვი, რაცი, ბელანოვი (როდიონოვი).

**მსოფლიო** ჩემპიონატების გადამწყვეტ მატჩებში მწვრთნელები და ფეხბურთელები ხშირად მიმართავენ ტაქტიკურ ხრიკებს, შეიძლება სწორედ ასეთი შენიღბული ტაქტიკური გეგმით ითამაშა კანადის გუნდთან საფრანგეთის ნაკრებმა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ფრანგებმა მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეძლეს გამარჯვების მოპოვება მინიმალური ანგარიშით, გარდა ამისა, გუნდის ლიდერებმა პლატინიმ, ტიგანამ, ჟირესმა, ბოსიმ, როშტომ და სხვებმა ხეირიანი ვერაფერი აჩვენეს.

ფრანგთა ნაკრების შემადგენლობა პირველ მატჩში: ბატსი, ამორო, ბატისტონი, ბოსი, ტიუსო, ფერნანდესი, ჟირესი, ტიგანა, პლატინი, პაპენი, როშტო, სტოპირა.

**სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდები დღემდე ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 3 მატჩი მოიგო საბჭოთა ნაკრებმა, 2 — ფრანგებმა და 4 ფრედ დამთავრდა.**



სურათებზე: მარცხნივ — სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებთა გუნდების შეხვედრაში კარგად ითამაშა პაველ იაკოვენკომ. არგენტინელმა ფეხბურთელებმა თავიანთი პირველი შეხვედრა სამხრეთ კორეის გუნდთან მოიგეს ანგარიშით 3:1; მარჯვნივ თქვენ ხედავთ მომენტს, როცა არგენტინელთა საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო მარადონა (ცენტრში) უტევს მეტოქის კარს.

საქდეს-საქინფორმის ფოტოები.

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ XIII მსოფლიო ჩემპიონატის დღემდე ჩატარებულ შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს:

**მატჩი № 1. ბულგარეთი—იტალია 1:1 (0:1).** I ჯგუფი. მეხიკო. 31 მაისი. გოლები: ა. ალტობელი (იტალია), ნ. სირაკოვი (ბულგარეთი). მსაჯი ე ფრედრიქსონი (შვეცია). 115.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ბერგომი, შირეა (იტალია), მარკოვი (ბულგარეთი).

**მატჩი № 2 კანადა — საფრანგეთი 0:1 (0:0).** III ჯგუფი. ლეონი. 1 ივნისი. გოლი: პაპენი (საფრანგეთი). მსაჯი ე. სილვა (ჩილი). 30.000 მაყურებელი.

**მატჩი № 3. ესპანეთი — ბრაზილია 0:1 (0:0).** IV ჯგუფი. გვადალახარა. 1 ივნისი. გოლი: სოკრატესი (ბრაზილია). მსაჯი ქ. ბემბრიჯი (ავსტრალია). 65.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ხ. ალბერტო (ესპანეთი), ბრანკო (ბრაზილია).

**მატჩი № 4. არგენტინა — სამხრეთ კორეა 3:1 (2:0).** I ჯგუფი. მეხიკო. 2 ივნისი. გოლები: ვალდანო-2, რუჯერი (არგენტინა), კიმ ენ სე (სამხრეთ კორეა). მსაჯი ს. არმინიო (ესპანეთი). 50.000 მაყურებელი. გააფრთხილეს სამხრეთკორეელი ფეხბურთელები ლი დე ხო და კიმ ენ სე.

**მატჩი № 5. სსრ კავშირი — უნგრეთი 6:0 (3:0).** III ჯგუფი. ირაპუატო. 2 ივნისი. გოლები: იაკოვენკო, ალეინიკოვი, ბელანოვი, იარემჩუკი-2, როდიონოვი. 78-ე წუთზე ევტუშენკომ ვერ გამოიყენა პენალტი. მსაჯი ლ. ანიოლი (იტალია). 15.000 მაყურებელი.

**მატჩი № 6. პოლონეთი — მაროკო 0:0.** VI ჯგუფი. მონტერეი. 2 ივნისი. მსაჯი ხ. ბაზანი (ურუგვაი) 12.000 მაყურებელი. გააფრთხილეს მაროკოელი ტიმუმი.

### საქართველოს პირველობა

**გთავაზობთ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.**

### აღმოსავლეთი ჯგუფი

**„შევარდენი"-სპი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 6:1, მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).** გოლები: მენთეშაშვილი, ჯიშკარიანი, ქობელაშვილი, დადვანი, ჯაკობია-2 („შევარდენი"-სპი), ბერაძე (ასკ).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: გამყრელიძე, ხურცილავა, დარჩიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„კახეთი" (თელავი) — „იმედი" (თბილისი) 3:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ბალათრიშვილი, აბდულაევი-2 („კახეთი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თბილისელი მ. ოჩარაშვილი.

**„ივერია" (ხაშური) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).** გოლი: ლამბაშიძე („ივერია").

თამაშის წესის დარღვევისთვის გააფრთხილეს ხაშურელი ი. ხარაზიშვილი.

**„მადნეული" (ბოლნისი) — „სინათლე" (თბილისი) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლი: ისიანი („მადნეული").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „სინათლის" ფეხბურთელი თ. დემეტრაშვილი.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)—„ქართლი" (გორის რ-ნი) 1:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლი: მანუჩაროვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„დურუჯი" (ყვარელი) — „არმაზი" (მცხეთა) 2:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: თინიკაშვილი, შევერდოშვილი („დურუჯი"), სოლოღაშვილი („არმაზი").

### დასავლეთი ჯგუფი

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ხარაბაძე-2 („შადრევანი").

**„სულორი" (ვანი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: შარაშენიძე („სულორი"), ციმაკურიძე („სამეგრელო").

**„მერცხალი" (მახარაძე) — „სქური" (წალენჯიხა) 4:0. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).** გოლები: კვაჭანტირაძე, ჩიგოგიძე-2, სალუქვაძე („მერცხალი").

მეტოქის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს წალენჯიხელი ბ. ნიკოლაიშვილი.

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 5:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ჩიქობავა-3, ქაჩიბაია, გერგელი („ეგრისი"), ჯავახაძე („ბახმარო").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „დინამო" (გაგრა) 1:2. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).** გოლები: ბჟანია („ამირანი"), კვარაცხელია-2 („დინამო").

**„იმერეთი" (ქუთაისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: ბრეგვაძე, კვერნაძე („იმერეთი"), შონია, თუთბერიძე („დინამო").

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა.** „ალაზანი" (გურჯაანი) — „განთიადი" (კასპი) 1:1, „ალგეთი" (მარნეული)—„ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0, „მშენებელი" (რუსთავი) — „არაგვი" (დუშეთი) 2:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 3:0, „თრიალეთი" (წალკა) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „მუხნარი" (მუხრანი) 0:2, „სამგორი" (გარდაბანი) — „სიონი" (დმანისი) 2:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „აკრიანი" (მარტყოფი) 6:0.

**ცენტრალური ზონა.** „მშენებელი" (ჭიათურა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:2, „ზარზმა" (ადიგენი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 3:1, „თორი" (ბორჯომი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:1, „იბერია" (ქარელის რ-ნი) — „ხვამლი" (ცაგერი) 2:0, „დილა" (წულუკიძე) — „აბული" (ახალქალაქი) 2:1, ახალციხის „მესხეთთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა ამბროლაურის „რაჭა", რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა.

**დასავლეთი ზონა.** „ჩიბათი" (ლანჩხუთი) — „კოლმეურნე" (გაგრა) 2:0, „ნარინჯი" (გონიო) — „მზიური" (გალი) 0:1, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:3, „ზანა" (აბაშა) — „ალიონი" (გალი) 3:0, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „დინამო"-2 (ბათუმი) 2:3, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „დვაბზუ" (მახარაძე) 0:2, „ნაპერწკალი" (ოქუმი) — „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) 2:1.

### მსაჯთა და მწვრთნელთა თათბირი

12 ივნისს 12 საათზე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში გაიმართება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის შედეგების განხილვა. სავალდებულოა საქართველოს პირველობის მომსახურე მსაჯთა, აგრეთვე, I და II ლიგების მწვრთნელთა დასწრება.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 5 ივნისისთვის

### აღმოსავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" | 11 | 8 | 1 | 2 | 22-8 | 17 |
| „შევარ"-სპი | 10 | 7 | 1 | 2 | 25-10 | 15 |
| „კახეთი" | 11 | 7 | 1 | 3 | 19-18 | 15 |
| ფიზკ. ინსტ. | 11 | 5 | 3 | 3 | 17-11 | 13 |
| „მადნეული" | 11 | 6 | 0 | 5 | 19-15 | 12 |
| „დურუჯი" | 11 | 5 | 2 | 4 | 8-10 | 12 |
| „ქართლი" | 11 | 5 | 1 | 5 | 8-11 | 11 |
| „არმაზი" | 10 | 4 | 2 | 4 | 15-11 | 10 |
| „სინათლე" | 12 | 4 | 2 | 6 | 6-9 | 10 |
| „ივერია" | 11 | 4 | 1 | 6 | 10-15 | 9 |
| „იმედი" | 11 | 1 | 6 | 4 | 6-13 | 8 |
| „სპარტაკი" | 11 | 3 | 1 | 7 | 8-17 | 7 |
| ასკ თბ. | 11 | 1 | 1 | 9 | 4-19 | 3 |

21-18

### დასავლეთი ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" ზ. | 12 | 8 | 1 | 3 | 33-17 | 17 |
| „ხალხინო" | 11 | 6 | 3 | 2 | 17-10 | 15 |
| „მერცხალი" | 11 | 6 | 1 | 4 | 17-7 | 13 |
| „სამეგრელო" | 11 | 6 | 1 | 4 | 15-9 | 13 |
| „შადრევანი" | 11 | 6 | 0 | 5 | 21-15 | 12 |
| „დინამო" გ. | 11 | 5 | 2 | 4 | 16-17 | 12 |
| „ეგრისი" | 11 | 4 | 3 | 4 | 15-18 | 11 |
| „საპოვნელა" | 11 | 5 | 0 | 6 | 19-18 | 10 |
| „ამირანი" | 11 | 5 | 0 | 6 | 13-20 | 10 |
| „სქური" | 11 | 4 | 2 | 5 | 11-21 | 10 |
| „იმერეთი" | 11 | 3 | 3 | 5 | 8-18 | 9 |
| „სულორი" | 11 | 2 | 3 | 6 | 7-15 | 7 |
| „ბახმარო" | 11 | 2 | 1 | 8 | 8-20 | 5 |

# სასარგებლო მატჩ-ტურნირი

**უთუოდ** ძისასალმებელი იყო ლიტვისა და საქართველოს კრივის მესვეურთა თაოსნობა — მოეწყოთ ამ ორი რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. თავდაპირველად განზრახული იყო შეჯიბრებას ორი დღე დასთმობოდა, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის I გუნდი იხდოეთს გაემგზავრა იქაურ მოკრივეებთან სამატჩო შეხვედრების ჩასატარებლად, ბალტიისპირელ სტუმრებს მხოლოდ ერთ დღეს უმასპინძლა ლენინის სახელობის სპორტდარბაზმა. შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაც პირველ ყოვლისა უძლლესი სპორტული ოსტატობის № 2 რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი თამაზ ლეკიშვილი) დამსახურებაა. არც მსაჯების მიმართ (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ირაკლი მელაძე) ჰქონიათ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს პრეტენზიები.

სტუმრებიცა და მასპინძლებიც კმაყოფილნი დარჩნენ შეჯიბრებით. სპორტსმენებმა ახლო გაიცნეს ერთმანეთი და კარგი გამოცდილებაც შეიძინეს. ასე რომ, სასურველი იქნება ამგვარი მატჩტურნირები ტრადიციად იქცეს.

რინგზე რვა სპორტის ოსტატმა და ექვსმა ოსტატობის კანდიდატმა დაძაბული ბრძოლა გაახალა. მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით შეხვედრები მოიგეს **აგაფანგელ ცირიპიდიმ** (დაამარცხა თეიმურაზ მერაბიშვილი), **ზაზა ურეკაძემ** (ვლადიმერ ტაშჩევი), **გია წერედიანმა** (ოლეგ ორლოვი), **ვაჟა ცაციაშვილმა** (რემინიუს დაშკიავიჩუსი), **დინარას უუგურაიტისმა** (რუბენ ქიქავა), **გენადი პაშკელმა** (ემელიანე ჰულუხაძე), **ანზორ ჯიმშელეიშვილმა** (ვიდას მარკიავიჩუსი).

**მალხაზ ჯარიაშვილი.**

# შვიდიდან სამი

**აკრობატიკა**

**ჩვენი** რესპუბლიკის აკრობატებისაგან ნებისმიერ შეჯიბრებაში მაღალ შედეგებს ელიან. ასე იყო ახლახან მინსკში, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობაზეც, რომელშიც 13 რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ საზოგადოების აკრობატები ერთერთი მოწინავენი არიან და ამიტომ შეჯიბრებაც პრესტიჟული იყო.

საქართველოს გუნდის ღირსებას იცავდა გოგონათა ორი წყვილი, აგრეთვე სამეული, შერეული წყვილი და ხუთი მხტომელი (სამი ვაჟი და ორი ქალი).

ჩვენმა აკრობატებმა წარმატებით იასპარეზეს და შვიდიდან სამ სახეობაში აბსოლუტური პირველობა მოიპოვეს. მხტომელ ვაჟებს შორის ბადალი არ ჰყავდა თბილისელ ჯონდო მარიდაშვილს (მწვრთნელი ალექსანდრე თედეევი). ჯონდომ ყველა ვარჯიში ოსტატურად შეასრულა და გაიმარჯვა. გოგონათა წყვილებში ბათუმელმა ნატალია ვეტოჩკინამ და მზიური კოსტავამ (მწვრთნელი ნელი აფაქიძე) ჩვეული არტისტიზმითა და ტემპერამენტით მოხიბლეს მაყურებელი. გოგონების ჯგუფურ ვარჯიშში სტაბილურად გამოვიდნენ ქესო მაისურაძე, ირმა ჩოქური და ლალი ჩოხელი (თბილისი, მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი). მათ აჭარის წყვილის მსგავსად, პირველობა არავის დაუთმეს.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით შედგა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელშიც დასახელებული აკრობატების გარდა თბილისელი მხტომელი ალექსანდრე კონდრატიევიც შეიყვანეს (მან ამ შეჯიბრებაში მეოთხე ადგილი დაიკავა). ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის სპორტსაზოგადოებათა პირველობაში. შეჯიბრება გაიმართება ვორონეჟში ივლისის შუა რიცხვებში.

**ლევან ჯაბაძე.**

# ანტონიო დიას მიგელის გეგმები

**მადრიდი.** კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ თვეზე მეტი დარჩა (6-20 ივლისს ესპანეთში ჩატარდება), მაგრამ მასპინძელთა გუნდის მწვრთნელმა ანტონიო დიას მიგელმა უკვე დაასახელა ნაკრების თორმეტივე მონაწილე.

გუნდის საშუალო ასაკი 26 წელია, სიმაღლე — 197 სანტიმეტრი. ნაკრების ძალას ახალგაზრდებისა და ვეტერანთა სწორი ურთიერთდამოკიდებულება და სრული გაგება წარმოადგენს. ყველაზე „ხანდაზმული" მოთამაშე ხუან დე ლა კრუსი 32 წლისაა, ყველაზე ახალგაზრდა ჰორდი ვილიაკამპა — 22 წლისა. ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელის ფერნანდო რომეის სიმაღლე — 212 სანტიმეტრია.

ფუნქციები ესპანეთის ნაკრებში ასეა განაწილებული: ხუთი ცენტრალური თავდამსხმელი, ოთხი განაპირა თავდამსხმელი და სამი მცველი. როგორც ხედავთ, მწვრთნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას თავდასხმის ცენტრალურ ზონას ანიჭებს და ძირითად დამრტყმელ ძალასაც იქ უყრის თავს — ფერნანდო არსეგა, ხუან დე ლა კრუსი, ანდრეს ჰიმენესი, ფერნანდო მარტინი და ფერნანდო რომეი. განაპირა თავდამსხმელის ფუნქციები მწვრთნელმა ჰოსე მარია მარგალს, ხუან ანტონიო სანეპიფანიოს, ანტონიო სიბილიოსა და ჰორდი ვილიაკამპას დააკისრა. გუნდში მხოლოდ სამი გამოკვეთილი მცველი-გამთამაშებელია: ჰოაკინ კოსტა, ხუან კრეუსი და იგნასიო სოლოსაბალი.

ესპანეთის პრესის ცნობით, კრეუსმა, სოლასაბალსმა და კოსტამ ძირითად შემადგენლობაში ნაკრების ვეტერანები იტურიაგა, ლიორენტე და პილია შეცვალეს.

გუნდი პირველად მაისის ბოლო რიცხვებში შეიკრიბა. ივნისში იგი სხვადასხვა ქვეყნის კოლექტივებთან, როგორც შინ, ისე უცხოეთში, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. მიმომხილველთა აზრით, მიგელმა საქმეს ისე სერიოზულად მოჰკიდა ხელი, რომ უსათუოდ ერთ-ერთ რომელიმე საპრიზო ადგილზე გასვლას აპირებს.

# „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგი „სპორტლოტოს" მორიგი, 21-ე ტირაჟებისა, რომლებიც 25 მაისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 781 419 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 1 848 მანეთია, 4-ისთვის (1 882) — 37, 3-ისთვის (33 981) —3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 6 132 431 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია. 4-ისთვის (5 411) — 109, სამისთვის (150 944) — 6.

მოგებული თანხის განაღდება 9 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით.

# თბილისის ჩემპიონები

**შაში**

**დამთავრდა თბილისის ჩემპიონატები შაშში ქალთა და ვაჟთა შორის. თითოეულ შეჯიბრებაში 10 მოშაშე მონაწილეობდა.**

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ოსტატობის კანდიდატი ნატო აგლაძე (ვაჭრობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი) — 8 ქულა. მეორე იყო მწვრთნელი თამარ ხორბალაძე (7,5), მესამე — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე მადონა შალამბერიძე (6).

ვაჟებში ყველას აჯობა სატრანსპორტო ავტომატიკის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, სპორტის ოსტატმა იური სპესივცევმა — 8.

**არტურ გოიჰმანი,**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი.**

# ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 5 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: გფრ — ურუგვაი (მეორე ტაიმი) — **10.15 (1);** შოტლანდია — დანია (მეორე ტაიმი) — **11.00 (1);** შოტლანდია — დანია — **19.00 (1);** საფრანგეთი — სსრ კავშირი — **23.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2).**

6 ივნისი. დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: საფრანგეთი — სსრ კავშირი (მეორე ტაიმი) — **9.50 (1);** იტალია — არგენტინა (მეორე ტაიმი) — **10.35 (1);** იტალია —არგენტინა — **19.00 (1);** კანადა — უნგრეთი — 23.00 (1).

**საქართველოს ტელევიზია.** 5-6 ივნისი. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები იმავე დროს და იმავე თანმიმდევრობით გადმოიცემა.

# თაობათა ცვლა - ბუნებრივი პროცესია

**ტურნირის ექო**

**ბოლო ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა ძიუდოისტები ევროპაში უძლიერესები იყვნენ. უძლიერესებად თვლიან მათ დღესაც, მაგრამ ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეებმა გუნდური პირველი ადგილი დათმეს და შინ მხოლოდ ერთი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს.**

არსებითი ცვლილებები ლიდერთა რიგებში არ მომხდარა. კანონზომიერებლად ძიუდოში ისევ და ისევ საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, ჰოლანდია, პოლონეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა ითვლება, მაგრამ ლიდერთა შორის ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება მაინც იგრძნობა, რასაც, ცხადია, აქვს ობიექტური საფუძველი.

მაგალითად, საბჭოთა კავშირის ნაკრებში, უფროსი მწვრთნელის გენადი კალეტკინის განცხადებით, დღესდღეობით თაობათა ცვლის ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობამ უფრო თამამად, უფრო გაბედულად უნდა თქვას თავისი სიტყვა.

ბელგრადის სარბიელზე საბჭოთა ნაკრები ორი დებიუტანტით წარსდგა: თბილისელმა ლერი ნაკანმა 71 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი თამაზ ნამგალაური შეცვალა, კობა კურტანიძეს კი ნაკრების ღირსება 95 კგ-ში უნდა დაეცვა. ერთმაც და მეორემაც ჩემპიონატში V-VI ადგილები გაიყვეს. დებიუტანტებისთვის ეს შედეგი ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით თითოეული მათგანის შესაძლებლობანი, ვვინახავს ისინი სხვადასხვა საპასუხისმგებლო შეხვედრებში და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ობიექტურად ორთავე უკეთეს ადგილს იმსახურებდა.

გენადი კალეტკინის აზრით, დებიუტანტებს აკლდათ სატურნირო გამოცდილება. ეს ალბათ ასეც არის, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში ორთავე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო და საკონტროლო შეხვედრებსაც დიდი უპირატესობით იგებდა. არ არის გამორიცხული, რომ მზადებისას ისინი „გადაიწვნენ" და თავიანთი შესაძლებლობის გამოვლენა ჩემპიონატის დღეებში ველარ შესძლეს.

სხვაგვარად როგორ ავხსნათ ვ. პესნიაკის (86 კგ, V ადგილი), ხ. ტლეცერის (60 კგ, III ადგილი), შ. ხაბარელის (78 კგ, ექვსეულში ვერ მოხვდა) და გ. ვერიჩევის (მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიაში III ადგილები) წარუმატებლობა? მათ გამოცდილება და ოსტატობა არ აკლიათ, მაგრამ შარშანდელთან შედარებით აშკარად სუსტად იასპარეზეს.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გენადი კალეტკინმა განაცხადა, რომ გუნდის მთავარი ამოცანა გაახალგაზრდავება იქნება. ვფიქრობთ, ეს სწორი კურსია. დიახ, დაკარგული პოზიციების დაბრუნება მხოლოდ ამ გზით შეიძლება.

ბელგრადის ჩემპიონატში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**60 კგ.** 1. ი. ჩაკი (უნგრეთი), 2. პ. იუპკე (გფრ), 3. ხ. ტლეცერი (სსრ კავშირი) და ვ. რუ (საფრანგეთი).

**65 კგ.** 1. ი. სოკოლოვი (სსრ კავშირი), 2. ი. ბრენერი (გფრ), 3. ი. პავლოვსკი (პოლონეთი) და მ. ალექსანდრი (საფრანგეთი).

**71 კგ.** 1. ბ. ხაიტოში (უნგრეთი), 2. კ. ბრაუნი (ინგლისი), 3. ე. გამბა (იტალია) და ვ. ბლახი (პოლონეთი).

**78 კგ.** 1. ფ. ვინიკე (გფრ), 2. მ. პიტერი (საფრანგეთი), 3. ვ. პინკი (გდრ) და ვ. ლეგენი (პოლონეთი).

**86 კგ.** 1. პ. ზაიზენბახერი (ავსტრია), 2. ბ. სპაიკერსი (ჰოლანდია), 3. ფ. კანიუ (საფრანგეთი) და ი. გიანი (უნგრეთი).

**95 კგ.** 1. რ. ვან დე ვალე (ბელგია), 2. რ. ვაშონი (საფრანგეთი), 3. ი. სოსნი (ჩეხოსლოვაკია) და ე. კოლანოვსკი (პოლონეთი).

**მძიმე.** 1. ვ. ვილჰელმი (ჰოლანდია), 2. ჰ. შტორი (გდრ), 3. გ. ვერიჩევი (სსრ კავშირი) და კ. ეხლე (შვეიცარია).

**აბსოლუტური.** 1. ჰ. შტორი (გდრ), 2. პ. ზაიზენბახერი (ავსტრია), 3. გ. ვერიჩევი (სსრ კავშირი) და რ. ვაშონი (საფრანგეთი).

როგორც ხედავთ, ყველაზე მეტი — 6 პრიზიორი საფრანგეთს აღმოაჩნდა, თუმცა ამ ქვეყნის არც ერთი მოჭიდავე ჩემპიონი არ გამხდარა. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს ოთხ-ოთხი პრიზიორი ჰყავთ. ამ სამეულის ფონზე უნგრელთა შედეგები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. უნგრეთის ძიუდოისტებს ასეთი წარმატებისთვის ადრე არ მიუღწევიათ.

ახლა ვნახოთ თუ როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| **უნგრეთი** | 2 | — | 1 |
| **სსრ კავშირი** | 1 | — | 3 |
| **გფრ** | 1 | 2 | — |
| **გდრ** | 1 | 1 | 1 |
| **ავსტრია** | 1 | 1 | — |
| **ჰოლანდია** | 1 | 1 | — |
| **ბელგია** | 1 | — | — |
| **საფრანგეთი** | — | 2 | 4 |
| **ინგლისი** | — | 1 | — |
| **პოლონეთი** | — | — | 4 |
| **იტალია** | — | — | 1 |
| **ჩეხოსლოვაკია** | — | — | 1 |
| **შვეიცარია** | — | — | 1 |



ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მიმომხილველებმა აღნიშნეს, რომ ევროპის ძიუდოისტთა ოსტატობა იზრდება და კონტინენტის წამყვანი ათლეტები ამ სახეობის ფუძემდებლებს — იაპონელებს ალარაფერში ჩამორჩებიან. მართლაც და, „ძველი სამყაროს" ათლეტებმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად აიმაღლეს ოსტატობა როგორც ტექნიკის ისე ტაქტიკის თვალსაზრისით. ამაში გვარწმუნებს საბჭოთა ნაკრების წევრის იური სოკოლოვის (65 კგ) შედეგები. ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში მან თავი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა მწვრთნელებს მისი დიდი იმედი ჰქონდათ. სპორტსმენის წარუმატებლობა მაშინ გამოუცდელობას მიაწერეს და სულ მალე იგი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოიყვანეს. სეულიდან სოკოლოვი გამარჯვებული დაბრუნდა და თანაც ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის სახელი დაიმკვიდრა. სეულის წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო, ეს სოკოლოვმა წლეულს ბელგრადშიც დაამტკიცა. ასე მოხდება მუდამ, თუ ახალგაზრდა მოჭიდავეს ნდობას გამოვუცხადებთ. ერთმა წარუმატებლობამ მწვრთნელი არ უნდა შეაშინოს, მით უფრო მაშინ, როცა ნაკრებს ძირეული გადახალისება სჭირდება.

**ნოდარ ბუგუშვილი.**

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**


რესპუბლიკური გაერთიანება „სპორტსაქონელი" 1986 წლის 6-დან 16 ივნისამდე თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აწყობს საზაფხულო ბაზრობას. აქ გაიყიდება ფართო ასორტიმენტის სპორტული და ტურისტული დანიშნულების საქონელი, მათ შორის ავტომანქანა „მოსკვიჩი" (როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე განვადებით და ადგილზე გაფორმებით), 30 ცხენისძალიანი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი", მოტოციკლები, ავტომისაბმელები, ველოსიპედები, სპორტული ინვენტარი; ავტო-მოტო-ველო მანქანების სათადარიგო ნაწილები; კატერები, ნავები და სათევზაო მოწყობილობა; საკურორტო სპორტული საქონელი: ზურგჩანთები, ტურისტული ინვენტარი, ფეხსაცმელები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, საგალანტერიო ნივთები.

აქვე გაიყიდება გაიაფებული სეზონური საქონელი.

ვაჭრობა იწარმოებს ყოველდღე 10-დან 19 საათამდე, შესვენების საათების გარეშე.

**გაერთიანება „სპორტსაქონლის" დირექცია.**



**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502